პუშკი პარიზში

პარიზი. კაფე. პალმების ბუჩქის
ტოლის და სწორის
პოეტი ამბობს: ვუსმინოთ პუშკინს,
რომ დგას ჩვენს შორის: –
"გადავერიოთ ბახუსის ალებს,
შორს სევდა– დარდი.
ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს,
ჩვენ რომ ვუყვარდით!
სავსე თასების ცბიერ ძალაში
ნუ დაეჭვდებით,
ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში
ჩვენი ბეჭდები:
ასწით თასები, გადავკრათ უცებ,
გადავცდეთ ჩარჩოს,
ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს.
აზრს გაუმარჯოს!
იბრწყინე მარად, დიადო მზეო,
იბრწყინე მარად.
ვით ეს სანთელი ქრება უმწეო
მზის შუქის კარად,
ისე – ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს
ვით ნისლი რამე,
იხრწნება, ქრება, გაუმარჯოს მზეს.
ძირს ბნელი ღამე!"
მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის,
მომეცით – თასით.
ეს გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას პუშკინს!
თამამად ასწით!